ეროვნული ბიბლიოთეკა


№ 194

პარასკევი, 10 სექტემბერი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 194

პარასკევი, 10 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


**კნეინა ნინო ივანეს ასული, კნ. ალექსანდრა არისტარხის ასული, თავ. დავით, არჩილ და ივანე იოსების ძენი ვაჩნა. ძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა მოულოდნელს გარდაცვალებასა პირველი ვაჟიშვილისას, მეორე—საყვარელის ქმრისას და დანარჩენნი—ძმისას

**თავ. ზაქარია იოსების ძის ვაჩნაძისას**

და სთხოვენ მობრძანდნენ მთაწმინდის მოედანზედ, კაზარინის სახლში, № 17, სადაც პანაშვიდი იქმნება გარდაცვლილი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ყოველ დღე დილის 11 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

---

სოფიო ვახტანგის ასული, ივანე სიმონის ძე და ნინო სიმონის ასული ბარათაშვილები, ნინო ფარემუზის ასული და გიორგი ვახტანგის ძე თავაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 8 სექტემბერს, პირველი—ძვირფასის ქმრისას, მეორენი—დაუვიწყარის მამისას და უკანასკნელნი—ძვირფასის სიძისას

**სამსონ მათეს ძის ბარათაშვილისას**

და სთხოვენ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზედ, № 119, საკუთარს სახლში. პანაშვიდი ყოველ დღეს საღამოს 6 საათზე. დასაფლავება იქნება კვირას. (3—146—1)

---

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გაბრ. იოს.

**ზოკიელოვი**

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12 ს., საღამ. 5—7 საათ. ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშვილის სახლი, № 2. (40—140—6)

---

ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობა

**„შ რ ო მ ა“**

მადათოვის კუნძულზედ, მუხრანბატონის შენობაში. სახელოსნოს აქვს დამზადებული სახლის სხვა-და-სხვა მოწყობილებანი და ავეჯეულობა. სახელოსნო ზომიერ ფასად კისრულობს სხვა-და-სხვა ავეჯის და კარ-ფანჯრების გაკეთებას. (6—144-1)

---

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე

**დ ი ლ ი თ:**

კ. ი. ჭიჭინაძე.—ქბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—10—11 საათ.

დ. კ. ერისთავი—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12

ნ. ტ. მელიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1.

თ. ნ. ადამიანი—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

ნ. ზ. უმიკოვი—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

ი. დ. ზუგთაზუგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ს. ი. ვაწაძე—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

კ. მ. მახვილაძე—ბავშვებისა და ყვავილის აცრა—6—7 საათ.

კ. ი. გძელიშვილი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—7—8 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

გარდა ამისა საჭიროების დაგვარად მოწვეულ იქმნებიან ოპერაციებისათვის:

საქირურგო—თ. კ. ჩუდნოვსკი.

დედათა სნეულებისათვის—ე. სობოლევსკი.

და თვალებისა—გ. ა. ტარსაიძე.

ფასი რჩევა დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

---

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. $1-1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ბ. გურკო. $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი $7^1/_2$—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

---

ქ. ტფილისში

ექიმი ნიკოლოოზ თომას ძე

**ერისთავი**

იღებს შინაგანისა და ნერვებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11-დგან $12^1/_2$ საათამდე, საღამოთი 7-დგან 8 საათამდე. მადერის ქუჩა, მამულოვის სახლი. (10—145—1)

---

ქუთაისის სამეურნეო-სამრეწველო

გამოფენის გამგე

**კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ გამოფენა ქუთაისში გაიხსნება 15 სექტემბერს, ხოლო ექსპონატების მიღება დაიწყება 5 სექტემბრიდგან. (5—143—4)

---

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

**პიანისტკა**

რ. მ ა ტ რ ო ს ო ვ ი ჩ ი,

რომელმაც გაათავა ვენის კონსერვატორია, ასწავლის ფორტეპიანოს დაკვრას.

**ადრესი:** ნემსაძის სახლი, სადაც სცხოვრობს სანიტარი ა. გ. ცეიტლინი (რკინის გზის სადგურის ახლოს). (15—139—10)

---

# ფელეტონი

## უტილიტარისტები და იმათი მოძღვრება

რაში მდგომარეობს ბედნიერება? აი საკითხი, რომლის გადაწყვეტილი პასუხიც ჯერ არ მოუცია კაცობრიობას, მაგრამ რომელიც ყოველთვის აფიქრებს და იზიდავს. ყველას ჰსურს ბედნიერება, ყველა იმას დაეძებს, ყველას ის ენატრება, ყველა იმას ოცნებობს. დედამიწის ზურგზედ არ არის ისეთი ადამიანი, რომ შეგნებულად თუ შეუგნებლად არა ჰსურდეს ბედნიერება. პირიქით, არ უფრთხოდეს უბედურებას, ტანჯვას, წვალებას. ეს სურვილი ბედნიერებისა საძირკველია, სათავეა ადამიანის ყოველის მოქმედებისა და მისწრაფებისა. ის თან სდევს ადამიანის ყოველს საქციელს, ამა თუ იმ სურვილს. დასასრულ, იგი ამთავრებს, აგვირგვინებს ადამიანის ყოველის დასაწყისს. ვინ არ ეტანება ბედნიებას? ვის არ იტაცებს იგი ფრთებ-შესხმულის ოცნებით და არ გადაიფრენს ხოლმე იმედების სამეფოში? ვინ იტყვის, რომ ბედნიერება არა მსურსო? არა ვინ. ბალღი, რეგვენი, მოხუცი, გენიოსი, მდიდარი, ღარიბი, ფილოსოფოსი, განდეგილი, მბრძანებელი მთელის სახელმწიფოებისა და ყოველსავე უფლებას მოკლებული მისი მონა—ყველანი ბედნიერებას ეძებენ, ყველას ჰსურს დაეწაფოს იმისს ანკარა წყაროს და მით მოიკლას თან დაყოლილი წყურვილი ბედნიერებისა. განდეგილი, ასკეტი, ეძებს თავისს ბედნიერებას ყოველისავე ქვეყნიურის უარყოფისა, თავისთა ვნებათა დამორჩილება-და თრგუნვასა, სულიერად ამაღლება განვითარებაში; ფილოსოფოსი—ჭეშმარიტების ძიებასა, ქვეყნიურ საიდუმლოთა გამოცნობა-გაგებაში; პესიმისტი—ყველაფრის უარ ყოფასა, სიძულილსა, ყველაფრის დანგრევა გაქარწყლებაში. ბედნიერებისთვის ჰშრომობს და სწავლობს სწავლული; ბედნიერებისა, დიდებისა, პატივისცემის სურვილი აწერინებს ლიტერატორს, მხატვარს. ბედნიერებისათვის იბრძვის, ომობს, სწვალობს ადამის შვილი. მისის მეოხებით ინთხევა სისხლის ნაკადული, რომელიც რწყავს დედა-მიწას. ერთის სიტყვით, ბედნიერების ძებნა, რომელიც ჰმეფობს, ძლევა-მოსილობს ადამიანში, ჰქმნის ადამიანს სახელოვან გმირად, მოძმეთა მხსნელად, სიმართლისა და ჩაგრულთა მოსარჩლედ, ხან-კი საზიზღარ დამნაშავედ, თითქმის მხეცად. ყველაფერი ცვალებადია ქვეყნიერებაზედ, ადამიანთა ცხოვრებაში. ის, რაც გუშინ. უტყუარ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, დღეს ტყუილი გამოდგა; ის, რაც მუდმივი, უცვლელი ეგონათ, გუშინ დღეს შეიცვალა. იგი იმისთანა ჭეშმარიტება არ არის, რომ ადამიანმა ეჭვი არ შეიტანოს. უცვლელია მხოლოდ მისწრაფება ადამიანისა ბედნიერებისაკენ.

ეს საზოგადო, მუდმივი, შეუწყვეტელი ძიება ბედნიერებისა ჰმოწმობს, რომ ალბად უნდა იყოს სადმე ბედნიერება, თუ-კი ასე მძლავრად აქვს ჩანერგული ადამიანს მისი სურვილი, ნდომა. მაგრამ სად არის ის? სად იმალება და რა გზით უნდა მიაღწიოს იმას ადამიანმა? ეს ჯერ-ჯერობით არ გადაუწყვეტია კაცობრიობას. რამდენისამე ათასის წლის განმავლობაში იბადება, ჰკვდება ასი, ათასი მოდგმა, არსდება სახელმწიფოები, საზოგადოებანი, ჩნდება სხვა-და-სხვა თემი, ხალხი—ყველანი ბედნიერებას ეძებენ, ჰსურთ გაიგონ: სად იმალება იგი, ან რა გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმაო, მაგრამ იმათ ბედნიერება გაურბის, თავისს საიდუმლოებას უმალავს თავ-დავიწყებამდის მისულ ადამიანს! კაცობრიობამ ჯერ არ იცის, მას ჯერ არ აღმოუჩენია ის უტყუარი, სწორი, საიმედო გზა, რომელსაც მიჰყავს ბედნიერებისაკენ. ერთით-კი ყველგან და ყოველთვის ეთანხმებიან ერთმანეთს ადამიანები: ბედნიერების ძებნა, შეუყენებლივ მისკენ მისწრაფება შეადგენს ადამიანის აღმოუფხვრელსა და გაუქრობელს სურვილს, ნდომას. მაგრამ რა შეადგენს მისს შინაარსს, როგორ უნდა განხორციელდეს ეს სურვილი, რითი უნდა დაკმაყოფილდეს ეს სურვილი, ერთი სიტყვით, რაში მდგომარეობს ბედნიერება,—ყოველივე ეს ჯერ არ გადაწყვეტილა, არ დაკანონებულა.

ზოგიერთები ბედნიერებ-დ სთვლიან სიმდიდრეს, ფუფუნებით ცხოვრებას, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ოქროს კალოებიდგანაც ცრემლი იღვრება? ვინ არ იცის, რომ მდიდარს ზევრჯელ ბედნიერება გაურბის, რომ მისთვის იგი ძვირი სტუმარია? ზევრჯერ ბედნიერება ოქროს კოშკებს სტოვებს და ლატაკის კარავში იკეთებს ბინას. იგი გარს ევლება და თავისს ალერსს არ აკლებს ძონძებში გახვეულ ღარიბსაც.

ბედნიერებად მიაჩნიათ ხოლმე დიდება, პატივი, მაგრამ ხშირად, ძლიერ ხშირად დიდება და პატივი ჰქრება, როგორც კვამლი, ან ადრე მოსული თოვლი. ახალგაზდანი ჰფიქრობენ გაბედნიერდნენ მხიარულად დროს გატარებით, ქეიფით, მაგრამ ჩქარა რწმუნდებიან, რომ მხიარულად დროს გატარება ხშირად უწამლავს კაცს სიცოცხლეს, სხეულს უდროოდ ურღვევს, უსუსტებს, გრძნობიერებას უჩლუნგებს და სხვანი. მოხუცებულებს ჰგონიათ, რომ ბედნიერება მყუდრო და აღუშფოთებელი ცხოვრებააო, მაგრამ მათ მოსვენებას არ აძლევს ფიქრი სიკვდილისა, მისის აუცილებლობისა. ამგვარად ბედნიერება ყველას იზიდავს, ყველას იტყუებს თავისკენ, მაგრამ ყველას გაურბის, არავის არა ჰნებდება, როგორც ზღაპრული ფერია, ერთსა და იმავე დროს მაცოცხლებელიც და მომაკვდინებელიც, აღმაფრენი, და ჯოჯოხეთში გადამტყორცნი. მოღა-

სამშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

**საგანგებო**

**საზოგადო კრება**

**ქართველთა სესხის-მიცემო ამხანაგობის**

# „შუამავლისა“.

კრებამ უნდა განიხილოს დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

(3 ნ.-1)

---

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

# კავკავის

სკოლის მესამე მასწავლებლის ადგილი

და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექნება 480 მანეთი მხოლოდ იმ პირობით, რომ უსათუოდ გალობა იცოდეს და დასის შედგენა შეეძლოს.

(5—უ—3)

---

# ახალი ამბავი

*** 7 სექტემბერს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ.-ა. ფ. კ. გერშელმანი ტფილისიდგან ქუთაისს დაბრუნდა.

*** მთავარმართებელმა წინადადება მისცა ტფილისის სახაზინო პალატას, გადასდევით 80,000 მან., წელს კავკასიის პოლიციის დარაჯთა შესანახადაო.

*** გუბერნატორის მოწერილობის თანახმად, ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა ქალაქის 1900 წლის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის პროექტი, რომელსაც მომავალ კვირაში საფინანსო კომისიასთან ერთად განიხილავს, შემდეგ-კი დაბეჭდავს და დაურიგებს ხმოსნებს. ხარჯთ აღრიცხვის განსახილველად დანიშნულია საგანგებო სხდომა საბჭოსი 29 ნოემბრისათვის.

*** ამიერ კავკასიის სახელმწიფო გლეხთა ადგილ-მამულის მოსაწყობ სამუშაოთა რევიზორი ბ-ნი ბელენკოვი, რომელიც ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში იმყოფება, ამ დღეებში დაბრუნდება ტფილისს და შემდეგ გაემგზავრება ბაქოს გუბერნიაში.

*** 7 სექტემბერს ტფილისში საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვიდა საფრანგეთის ცნობილი მოგზაური და მწერალი შარლ დიერუ.

*** კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებამ ნება-რთვა მიიღო გამართოს 1901 წ. კავკასიის მესამე საბაღოსნო გამოფენა.

*** კავკასიის სამთო სამმართველოს უფროსი ქუთაისის გუბერნიაში გაემგზავრა შავი ქვის მადნების დასათვალიერებლად.

*** რადგან ეტლით მოგზაურთ ქალაქში ხშირად სამოგზავრო ფასის გამო უსიამოვნება მოსდით მეეტლეებთან, ამიტომ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა სავალდებულო საეტლო დადგენილებათა გადასამინჯავად დანიშნულ კომისიის თავმჯდომარეს, დააჩქარეთ კომისიის მუშაობის დამთავრება, რათა გამგეობას მოხსენების წარდგენა შეეძლოს საბჭოს განსახილველად ერთ-ერთ უმახლობელეს სხდომაზედაო.

*** გორის მაზრის სოფ. არაშენდაში, კიდევ სამ ვენახში აღმოუჩენიათ ფილოქსერა.

*** ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწ. ქონებათა მინისტრი დ. ტ. ს. ა. ს. ერმოლოვი 10 სექტემბერს ჩამოვა დ. სოჩში.

*** ქალაქის სასანიტარო კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა ქალაქის მოურავს, განგვიმარტეთ ნავთლუღში საქონლის ბაკის საჩქაროდ გახსნის საქმეო. საქმე ის არის, რომ სასანიტარო კომისიის დადგენილება ბაკის გახსნის შესახებ უკვე დაამტკიცა გუბერნატორმა, და ახლა საჭიროა ამ ბაკით სარგებლობის ნიხრის დამტკიცება.

*** როგორც ისმის, გზათა მინისტრი ხილკოვი ამ თვის გასულს ტფილისში ჩამოვა ყარსისა და ბაქო-პეტროვსკის რკინის გზების დასათვალიერებლად.

*** მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული მედვედევი გაემგზავრა გორის მაზრის სოფ. ანაგაში ამერიკულ ვაზის სანერგის დასათვალიერებლად, რის შემდეგ ბ-ნი მედვედევი ქუთაისის გუბერნიაში წავა, სადაც სანერგების გარდა, დაათვალიერებს საცდელ სამეურნეო ყანებს.

*** მატარებლით მოგზაურ ხალხზედ სანიტარო ზედამხედველობის გასაძლიერებლად, ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის მოადგილემ შაიკევიჩმა წინადადება მისცა მოძრაობის სამსახურის უფროსს, დროებით (1 თვით) განათავისუფლეთ ფერშალ-კონდუქტორები კონდუქტორის თანამდ. აღსრულებისაგან იმ პირობით, რომ მათ საგანგებოდ თვალ-ყური ადევნონ მგზავრთ, მიიღონ განცხადებანი მოსალოდნელ ავადმყოფობის შესახებ და მისის აღმოჩენის დროს იმოქმედონ თავიანთის წესების თანახმადაო. ამას გარდა, შაიკევიჩმა საჭიროდა სცნო თვალ-ყური ადევნონ იმ კასრების სისუფთავეს, რომლებშიაც სასმელი წყალი სდგას ბაქანებზედ.

*** ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა გორის ქალაქის მამასახლისს, ამ მოკლე ხანში მოახდინეთ 1899—1903 წლისათვის ქალაქის მამასახლისისა და მისის თანაშემწის არჩევნებიო.

*** რადგან ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გამორკვეული, ნამდვილად არსებობს თუ არა ბლეკროტი ამიერ კავკასიის ვენახებში, ამის გამო საფილოქსერო კომიტეტმა გადასწყვიტა მეორეჯერ გამოიკვლიოს ვენახები. ამ აზრით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდო ვენახების დათვალიერება კახეთსა და სოფ. დიღომში და აგრეთვე საეჭვო ვენახების მტევნების წამოღება გამოსაკვლევად. ამასთან განზრახვა აქვთ ყურძენი ევროპის ცნობილ მიკოლოგებსაც გაუგზავნონ იმავე აზრით. გუშინ ეს კომისია გაემგზავრა სოფ. დიღომში თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის ვენახების დასათვალიერებლად, რომლებზედაც უკვე ექვია აღებული.

*** თელავიდგან „კავკ.“-ს სწერენ, რომ ადგილობრივის საქალაქო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს უვარგისად უცვნია სასწავლებლის შენობა და ამის გამო დაუდგენია სთხოვოს თელავის ქალაქის გამგეობას სასწავლებლის ახალ შენობის ასაგებად ადგილის უფასოდ დათმობა და ზედ შენობის აგება.

*** გაზ. „სინ. ოტეჩ.“ სწერს: დიდი ხანია საჭირო იყო ამიერ-კავკასიაში საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის დაარსება და მხოლოდ ამ დღეებში გაგზავნილ იქმნა ტფილისში საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის საბჭოს წევრი ბ-ნი გორბუნოვი, რომელსაც მინდობილი აქვს კავკასიაში ამ ბანკის განყოფილების დაარსებისათვის საჭირო ცნობების შეკრება.

*** სოფ. გომის მახლობლად (გორის მაზრა) ამ დღეებში აგრონომის თავ. ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით, ახალი გუთნები გამოსცადეს. გუთნები კარგი გამოდგა სახნავად.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ამ ჟამად მიუღია ეგრეთ წოდებული ბაჟაკის გუთნები, რომლებსაც ამ დღეებში გამოსცდიან თიანეთისა და თელავის მაზრებში.

*** შატილი. ქიათურაში უგზოობისა გამო ბევრი უბედურობა ჰხდება. აი ერთი მაგალითი: სოფ. საირხეს მცხოვრები გლეხი გძელიშვილი აგვისტოს ბოლო რიცხვებში სამუშევრად წასულიყო, მაგრამ საბრალო დალეწილ-დამტვრეული მოიტანეს შინ: უბედურს გლეხს უნდოდა მადნებზედ მუშაობით რამდენიმე მან. ეშოვნა ოჯახის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, და ამის მაგივრად, ახლა რამდენიმე თუმანი დასჭირდება მოსარჩენად. ის-კი არა და, ვინ იცის, მობრუნდება თუ არა და სულ არ დაეღუპება მთელი ოჯახი.

*** სოფ. ვარდიგორა, (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მიწერილია მუხურის საზოგადოებაზედ. მთელს საზოგადოებას ერთი სამინისტრო სკოლა აქვს, რომელიც მუხურში არსებობს. მხგრამ სკოლა 10—12 ვერსტზე არის დაშორებული ვარდიგორიდგან და ამის გამო ამ უკანასკნელისთვის სრულებით უსარგებლოა ხსენებული სკოლა. მართლაც, როგორ შეიძლება ყოველ დღე იარონ ბავშვებმა 10 ვერსტის მანძილზე, მეტადრე ზამთარში. ამიტომ ურიგო არ იქნება ვარდიგორის მღვდელი შეეცდებოდეს სამრევლო სკოლის დაარსებას თავისს ეკკლესიაზედ. რაღა თქმა უნდა, მღვდელმა თუ მოიწადინა ეს საქმე, სოფელიც მხარს მისცემს.

*** იარმუკაში წიგნების გაჭრობის საქმე მეტად ცუდ ნიადაგზე დაყენებული. მოსწავლე ახალგაზრდობა იმ წიგნებს, რომლებიც უფროს კლასებში გადასვლის შემდეგ მათთვის საჭირო აღარ არის, რამოდენიმე გროშად უთმობს იარმუკაში მოვაჭრეთ, რაც ამ უკანასკნელთ კარგად გამოუყენებიათ და ორ შაურად ან აბაზად ნაყიდ წიგნებში მანეთს და მეტსაც იღებენ. ეს კიდევ არაფერი. არის ერთგვარი მაწანწალა წრე მსუნაგ ახალგაზდათა, რომელნიც დამვრებიან აქა-იქ და სადაც მოუწვდ-

---

ლატე, სასტიკი, სისხლის მსმელი ფერია!..

ბედნიერების, მისის შინაარსის შესახებ საკითხი ისევე ძველია, როგორც კაცობრიობა. ორი-სამის ათასის წლის წინადაც კაცობრიობა, მისნი უკეთესნი წარმომადგენელნი ჰმსჯელობდნენ, კამათობდნენ ამ საგნის შესახებ. აზროვნობის ისტორიიდგან ვიცით, რომ არა ყოფილა ისეთი სწავლული, ბრძენი, ფილოსოფოსი, რომ ამ კითხვას არ შეჰხებოდეს, ასე თუ ისე არა სცდილიყოს მის გამორკვევას, გაგებას, რომელსაც არ აღეარებინოს რომელიმე დედა აზრი და თეორია. ერთს უძველესს, მაგრამ ამ დრომდისაც კი გავრცელებულს, თეორიას, რომელსაც უტილიტარულს თეორიას უწოდებენ, ბედნიერებად მიაჩნია მხიარულად, სიამოვნებით ცხოვრება. რამდენადაც მეტსა ჰსიამოვნებს ადამიანი, იმდენად იგი ბედნიერია. მაგრამ რითი უნდა გამოიხატოს ეს სიამოვნება? ამ კითხვის პასუხის მიგების დროს რამდენსამე ბანაკად იყოფებიან ამ თეორიის მიმდევარნი... უტილიტარისტები. ძველის დროის სოფისტები აი რა მოძღვრებას ჰქადაგებდნენ: ფუფუნება, ყოველის სურვილისა და ნდომის დაკმაყოფილებაა ბედნიერება. ბუნებრივი დანიშნულება კაცისა ის უნდა იყოს, რომ მან რამდენადაც შესაძლოა ისიამოვნოს, დრო მხიარულად გაატაროს. ბრძოლა თავისის ბუნების წინააღმდეგ, დაუკმაყოფილება თვისთა მოთხოვნილებათა, მისი შეზღუდვა, შესუსტება, უარ ყოფა სიამოვნებისა—ეს იმას ჰნიშნავს, რომ ადამიანი უარჰყოფს თავისს ადამიანობას და ქვადა და ლეშად ხდება. პირ-იქით, ადამიანი იმას უნდა სცდილობდეს, რომ გაივარჯიშოს, განივითაროს თვისნი ძალანი და მით ხელშეუშლელად და რაც შეიძლება მომეტებულად დაეწაფოს სიამოვნების წყაროს. *) რაც სასიამოვნოა ადამიანისთვის, ის ზნეობრივია. სამართლიანობა ცარიელი სიტყვაა. ვინც ძლიერია,—ის მართალია. თანასწორობა სუსტისა და ძლიერისა ცარიელი სიტყვაა. თითონ ბუნება—გვაცნობებს, რომ უფრო კარგი და კანონიერია უკეთესმა უარესს აჯობოს, ძლიერმა უძლური სძლიოს, დაიმორჩილოს. ზემოთ თქმულიდგან აშკარად სჩანს, რომ სოფისტები უარ ჰყოფენ აზრს აბსოლუტურ სამართლიანობისას, „სამართლიანობა, ერთი სოფისტის აზრით, სათნოება-კი არა, სულელობაა, უსამართლობა-კი ბრძნული ანგარიშია“. **)

*) სოფისტების მოძღვრება გადმოცემული აქვს პლატონს თავისს დიალოგებში „პროტოგორი“ და „გორგია“.

სოფისტების წინააღმდეგ იბრძოდა სოკრატი. არ მოსწონდა იმათი მდაბალი მოძღვრება. სოკრატი ეთანხმებოდა სოფისტებს იმ მხრივ, რომ სიამოვნება უნდა იყოს იდეალი ბედნიერებისა, მხოლოდ სიამოვნება უფრო ღრმად, უფრო ამაღლებულად ესმოდა. სოკრატი არ ეთანხმებოდა სოფისტებს, რომ ვითომც ბედნიერება უზომოთ სიამოვნება, ყოველის სურვილის დაკმაყოფილება იყოს. „განა დაუზოგველი კაციო“ ჰკითხულობს სოკრატი, პირუტყვისაგან რითიმე განირჩევაო? რა განსხვავებაა პირუტყვსა და იმ ადამიანს შორის, რომელიც, იმისდა განურჩევლად, თუ რა არის ზნეობრივი და კეთილი, ყველგან ეძებს სიამოვნებას?“ ამასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ სოკრატი უარს არა ჰყოფს ეგოიზმის ზოგიერთ თვისებას. ერთ ადგილას ამბობს, რომ „ქვეყნიერებაზედ სათნოება კარგი ანგარიშია, სიბოროტე—ცუდიო, რა არის ბედნიერება, სოკრატის აზრით? ცოდნა. თუ ადამიანმა იცის, რა შედეგი მოჰყვება იმისს მოქმედებას, იგი ყოველთვის მოგებაშია, ყოველთვის სიამოვნებასა ჰგრძნობს, რადგანაც თავისს დღეში არ მოჰკიდებს ხელს იმისთანა საქმეს, რომელსაც არა-სასიამოვნო შედეგი მოჰყვება. „ძაღლისაგან ვთხოულობთ, რომ კარგათ იცოდეს სუნის აღებაო, ამბობს სოკრატი, კატისაგან მოსაზრებულად თაგვის დაჭერას; ცხენისაგან—სიმალეს, მარდად გაქცევას, მსუქან ძროხისაგან—ერბოიან რძეს, მაშ თქვენს თავს შეგნებული აზრი და მოქმედება მაინც მოსთხოვეთ... უჭკუოდ უნდა ჩაითვალოს ის, ვინც ჰფიქრობს, რომ ვითომც განათლების მიუღებლად შესაძლოა განირჩეს კეთილი მოქმედება ცუდისაგან“. ამნაირად ცოდნა, სიბრძნე უნდა დაედოს საფუძვლად ადამიანის მისწრაფებას ბედნიერებისაკენ. „სიბრძნე ყოველთვის აბედნიერებს ადამიანს, თუ სიბრძნეს მიენდო ვინმე, ის თავისს დღეში არ შესცდება, პირიქით ყოველთვის სწორე და მართალის გზით ივლის“. ვნებათა ღელვის აყოლა, ხორციელი მოთხოვნილებათა განურჩევლად დაკმაყოფილება, თავ-დაუჭერელობა-კი მართალ გზას ააცდენს ადამიანს, ხან-მოკლედ ხდის მისს სიამოვნებას, თითქმის შეუძლებლად ჰყოფს თვით სიამოვნებასაც.

**) „Политика и государство“, პლატონის.

„ვინც თავ-დაუჭერლად, გარდამეტებით, ჰსიამოვნობს, მისთვის სიამოვნებაც შეუძლებელია, რადგანაც გარდამეტებულ თავ დაუჭერელ ადამიანს არ შეუძლიან იგრძნოს არც შიმშილი არც წყურვილი, არც სიყვარული, არც დაღალვა. სიამოვნებას კაცი მაშინა ჰგრძნობს, როდესაც ისრულებს, იკმაყოფილებს იმას, რასაც დიდი ხნით ეთმენდა და რისი მოლოდინიც ნეტარებას აგრძნობინებდაო“!?.

ვის არ გაუგონია ასჯერ, ათასჯერ (რასაკვირველია, ცოტად თუ ბევრად განათლებულს) სიტყვა: „ეპიკურეიზმი, ეპიკურეეცი, ეპიკურულად დროს გატარება“? „ეპიკურეიზმს“ ისეთს მოძრაობას ეძახიან, რომელიც ჰქადაგებს უდარდელად დროს გატარებას, სიამოვნებას, მხიარულებას, ყოვლის სურვილის დაკმაყოფილებას. მისის კატეხიზმის პირველ სტრიქონში ასე სწერია: „სვი,

ბათ ხელი, იშარჯენ წიგნებს, მიაქვთ იარმუკაში და 1—2 მანეთიან წიგნებს 1—2 აბაზად ჰყიდიან. რაღა თქმა უნდა, ასე გასაყიდ წიგნებს აფხეკენ ყდებზე წარწერილ სახელსა და გვარებს და მით ახერხებენ მშვენიერ ყდებს. მაგალ., ერთ ვიღაც ბიჭს ამას წინად ერთ ადგილიდგან წაეღო ჩუბინაშვილის ლექსიკონი. ყდაზედ სხვილი ასოებით მოწერილი პატრონის სახელი და გვარი დანით ამოეჭრა. ეს წიგნი იარმუკაში გაეყიდნა ოთხ აბაზად. „ბუკინისტს“ შეეკითხა ერთი მყიდველი: რა ღირს ეს წიგნიო და მან სამ მანეთად დააფასა.

*** უწინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო აცხადებს, რომ 1-ლ აგვისტოს 1899 წ. განყოფილების კასაში იყო 31775 მ. და 86 კ., აგვისტოს განმავლობაში შემოვიდა 6120 მ. და 19 კ. სულ 37,896 მ. და 5 კ., იმავე თვეში დაიხარჯა პროცენტის ქაღალდებად 6000 მ., ნაღდ ფულად 6176 მ. და 11 კ., სულ 12176 მ. და 11 კ., 1-ლ სექტემბრისათვის დარჩა 25719 მ. და 94 კ. ამ ფულიდგან იმყოფება: 1, ტფილისის სახელმწიფო ბანკში 4726 მ. და 45 კ., 2, შემნახველ კასაში 384 მ. და 81 კ., 3, პროცენტის ქაღალდებად იქვე 20600 მ. და 4, ნაღდ ფულად განყოფილების კასაში 8 მ., სულ 25719 მ. და 94 კ.

განყოფილების თვალის სამკურნალოში აგვისტოში ახალი ავადმყოფი იყო 436 და სულ ძველ-ავადმყოფებთან ერთად მკურნალს სჩვენებიან ავადმყოფნი 2902 ჯერ; აპერაცია გაუკეთებიათ 38 ავადმყოფისათვის.

# რუსეთი

— უწმ. სინოდმა დაამოწმა, რომ უნდა შესრულებულ იქმნას ის კანონები და განკარგულებანი, რომელთა ძალითაც მღვდლებმა წესიერად უნდა გაჰყონ კრებულთა შემოსავალის კვალობაზედ ეკკლესიისა და სხვა გვარი შემოსავალი.

— სამხრეთ რუსეთის მთა-მადნის მწარმოებელთ შუამდგომლობა აღუძრავთ გზათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ რკინის გზებს უფლება მიეცეთ, სადაც საჭირო იქმნება, მცირე სადგურები, „რაზიეზდები“, ბაქნები და სხვა ასეთი ადგილები სატარიფო სადგურებად გადააკეთონ.

— ნოქართა დამხმარებელი საზოგადოება აარსებს პეტერბურგში მოსამზადებელ საკომერციო კურსებს.

— მომავალ გაზაფხულზედ ლუბნოიში განზრახვა აქვთ დააარსონ სპეციალური საქალებო სკოლა, რომელშიაც ასწავლიან ხელოსნობას და სხვა და სხვა გვარ მეურნეობას. ბაღოსნობას, მებოსტნეობას, ფრინველების მოშენებას, რძის მეურნეობას და მეფუტკრეობას.

# უცხოეთი

—

**ინგლისი.** დრეიფუსს ბევრი მომხრე ჰყოლია ინგლისში. რენის სასამართლოს განჩინებამ ძლიერი აგიტაცია გამოიწვია ინგლისში მთელი საფრანგეთის წინააღმდეგ. გაზეთებს თუ და ჟურნალებს, თვით დედოფალს ვიქტორიასაც-კი მართალი ჰგონებია დრეიფუსი: როგორც ამბობენ, დედოფალს, მიუღია-რა ინგლისის ელჩისაგან დეპეშა რენის სასამართლოს გარდაწყვეტილების შესახებ, საპასუხო დეპეშა გაუგზავნია ფრანგულს ენაზედ, რომელშიაც აცხადებს, რომ მიღებულმა ამბავმა ძლიერ შემაწუხაო, რადგან დრეიფუსის გამტყუნება კაცის გონების წინააღმდეგ მოქმედებას წარმოადგენსო.

საფრანგეთის იმპერატრიცად ნამყოფს ევგენიასაც, რომელიც ინგლისში სცხოვრობს, პარიჟში დეპეშა გაუგზავნია ერთი თავისი მეგობრისათვის, რომელშიაც ამბობს, რომ დრეიფუსის გამტყუნებამ ძლიერ დამაღონაო.

„Standard“-ში ცხრა წერილი დაიბეჭდა რენის სასამართლოს განაჩენის წინააღმდეგ. წერილების ავტორები აგრეთვე ათას გვარ ღონისძიებას უჩვენებენ, რომელნიც, მათის აზრით, საჭიროა ინგლისის საზოგადოებამ იხმაროს საფრანგეთის დასასჯელად. ერთი, მაგალითად, ურჩევს ყველა ინგლისელ ქამებს—წრეულს ნურც ერთს ავადმყოფს ნუღარ გაჰგზავნით საფრანგეთშიო; მეორე ამბობს, რომ ინგლისელებმა არა თუ პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ არ უნდა მიიღონ არავითარი მონაწილეობა, არამედ არავინ ჩვენგანმა ფეხი არ უნდა შესდგას საფრანგეთში და ერთი გროშიც არ უნდა დახარჯოს „ამ სამარცხვინო და შერცხვენილ ქვეყანაშიო“, და სხ. უნდა ვიცოდეთ, რომ საფრანგეთიდგან დიდ მალი სანოვაგე გააქვთ ინგლისელებს; ასი მილიონი ფრანკის მარტო კვერცხს ჰყიდულობენ საფრანგეთში. გაზეთი აცხადებს, რომ ამგვარი წერილები სხვაც მრავალი მივიღეთო, მაგრამ არ დავბეჭდეთო. ლონდონში დიდძალ საზოგადოებას განუზრახავს დემონსტრაცია მოახდინოს გაიდ-პარკში დრეიფუსისათვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. ინგლისის ერთს სამეფო კომისარს, სტივენსს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე ნიუკესტლის განყოფილება მოეწყო, განუცხადებია, რომ გამოფენაზედ არავითარს მონაწილეობას არ მივიღებ, დრეიფუსი თუ არ გაამართლესო. მრავალს სავაჭრო და სამრეწველო ფირმას მოლაპარაკება ჰქონია ერთი მეორესთან, რომ გამოფენაზე მონაწილეობის მიღების უარი განვაცხადოთო.

მთავრობას აზრადაც არ ჰქონია წინააღუდგეს საზოგადოების მოძრაობას საფრანგეთის წინააღმდეგ. ჟურნალ-გაზეთებიც არ აფრთხილებენ აღელვებულ საზოგადოებას, თავდაუჭერლობა და წრეს-გადასული საქციელი არავითარს საქმეში არ ვარგაო. მხოლოდ მარტო „ტიმეს“-ი ამბობს, რომ საზოგადოების მღელვარებას საფუძველი აქვს და თანაგრძნობის ღირსიაო, მაგრამ სისულელე იქნება საფრანგეთი ვჰკიცხოთ, სანამ არ გამოირკვევა, რომ არავითარი ღონისძიება არ მოიპოება რენში ჩადენილ უსამართლობის თავიდგან ასაშორებლადაო.

—

**გერმანია.** გერმანიაშიაც წინააღმდეგობა გამოიწვია რენის სამხედრო სასამართლოს გარდაწყვეტილებამ. ჟურნალ-გაზეთები საშინლად ჰკიცხავენ სამხედრო სასამართლოს, მთავარ შტაბს და მთელს საფრანგეთს. ათას გვარი მრეწველნი და ვაჭარნი აცხადებენ, რომ არავითარი მონაწილეობის მიღება არა გვსურს პარიჟის გამოფენაზეო. მთავრობას-კი უფრო მაგრად უჭირავს თავი და გაზეთების ფეხის ხმას არ აჰყოლია. როგორც იუწყებიან, მთავრობას ძლიერ საწყენადაც დარჩება თურმე, საზოგადოების აგიტაციამ საფრანგეთის წინააღმდეგ თუ დიდხანს გასტანა. გაზეთების სიტყვით, მთავრობის ასეთი საქციელი იმით აიხსნება, რომ მისი აზრით, პარიჟის მსოფლიო გამოფენას ძლიერ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება გერმანიის წარმოებისა და აღებ-მიცემობისათვის. გერმანიის მთავრობას აზრად აქვს დაანახვოს პარიჟში მთელს ქვეყნიერობას, თუ რისი გაკეთება შეუძლიან გერმანიასო. გარდა ამისა მთავრობას საჩიანოდ მიაჩნია თურმე გერმანიის ინტერესებისათვის დრეიფუსის საქმის გამო დაუსრულებელი კამათი იყოს გერმანიაში. უოველივე ამის გამო ბევრნი ასე ჰფიქრობენ, რომ გერმანიაში ჩქარა მოისპობა დრეიფუსის სასარგებლოდ ატეხილი აგიტაციაო.

—

**საფრანგეთი.** რადგან საფრანგეთს ყოველ მხრიდგან მისდის ამბავი, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ დიდი მოძრაობა არისო, „ფიგარო“ სცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს მოძრაობა ყოველსავე მნიშვნელობას მოკლებულიაო. საფრანგეთის გონებითი არისტოკრატია დრეიფუსის გამართლებას იხოულობდაო,—ამბობს გაზეთი. გარდა ამისა ის გარემოება, რომ დრეიფუსის მოსამართლეთა შორის ორმა კაცმა უდანაშაულოდ სცნო ბრალდებული, იმის მაჩვენებელია, რომ მთელი მხედრობა არა ყოფილა იმათ მხარეს, რომელნიც დრეიფუსის დასჯას თხოულობდნენო. პოლკოვნიკი ჟუოვო,—განაგრძობს გაზეთი,—გამოფენის უფროს კომისრად ხომ არ არისო, და კარიერსაც ხომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გამოფენაზეო.

# სასამართლოს მატიანე

### ბორჯომის მამულში მოსახლე გლეხების საქმე.

როგორც ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი, 7 სექტემბერს ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებამ განიხილა საქმე ბორჯომის მამულში მოსახლე გლეხებისა, რომელთაც ის ბრალი ედებოდათ, რომ მათ 1899 წ. 22 მაისს წინააღმდეგობა გაუწიეს სასამართლოს ბოქაულს კარახანოვს და პოლიციის ბოქაულს ბალაბანოვს ჩაფრებითურთ, როდესაც იმათ აღსრულებაში მოჰყავდათ სასამართლოს გარდაწყვეტილება. სასამართლოს თავმჯდომარედ იყო ოლქის სასამართლოს წევრი ა. ი. ბოგაევსკი.

ამ საქმის გარემოება საბრალმდებლო ოქმის მიხედვით შემდეგია. მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ბორჯომის მამულში მოსახლეობენ მრავალ სოფელში მოიჯარადრე გლეხები, რომელნიც თავის-მიერ დასახლებულ და დაჭერილ ადგილებით სარგებლობენ იმ ხელ-შეკრულების ძალით, რომელიც დადებული აქვთ მამულის გამგეობასთან. ეს ხელ-შეკრულება 1872 წლიდგან, როცა მამული დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ებოძა, იდებოდა 6 წლის ვადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ-კი ხელ-მეორედ ახლდებოდა. 1889 და 1890 წ. გლეხებმა, ხიზნების შესახებ ახლად გამოსაცემ კანონებისა და სხვა მიზეზების გამო, ხელშეკრულების განახლებას გვერდი აუქციეს და იმავე ადგილებზედ-კი დარჩნენ. მაშინ ბორჯომის მამულის გამგეობამ ზოგიერთ ამ გლეხებზედ საჩივარი შეიტანა მათ გადასასახლებლად. ასეთი საჩივარი, როგორც ბორჯომის მამულის რწმუნებულის ნიკ. ლევ. აბაზაძის ჩვენებიდგანა სჩანს, წარდგენილი იყო 1894 წ. და იმ გლეხთა შორის, რომელთა წინააღმდეგ საჩივარი აღიძრა, ერია სოფ. წაღვერის გლეხი პეტრე გელაშვილი, იგივე კაჭუნაშვილი. 1884 წ. 19 თებერვალს ბორჯომის მამულის რწმუნებულმა აბაზაძემ წარუდგინა სურამის მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების ბოქაულს ალექსანდრე კარახანოვს ტფილისის ოლქის

---

სჭამე, რადგანაც დღეს თუ ხვალ მოკვდებიო“...

ამ მოძღვრების მიმდევარი მართლა რამდენადაც შეუძლიან ჰქეიფობს, სვამს, სჭამს, გარყვნილობას ეძლევა; მისთვის სულ ერთია, რა სახსარითაც, რა საშუალებითაც უნდა აისრულოს პირუტყვული სურვილი. არაფერი წმიდა, ზნეობრივი, სათნოიანი მისთვის არ არსებობს. კუჭია მისი ღმერთი; მისი მოთხოვნილება მისთვის კანონია! წმინდა სიყვარული, მეგობრობა მისთვის გაუგებარია, სიყვარული და გარყვნილება სინონიმად მიაჩნია. მეგობრობა მას ლოთობისა და გარყვნილების დროსა სწამს. ერთის სიტყვით, ეს ვაჟბატონი ორფეხა პირუტყვია, პირუტყვისავე ალღოთი, სურვილით, ნდომით. თუ ასეთია „ეპიკურეიზმის“ მიმდევარი, მაშ თვით ის, ვისის სახელითაც მოჰნათლეს ეს ზნეობრივი მოძღვრება, ვინც ამის მამამთავრად ითვლება, უარესი კუჭის მრწამსის მაღმერთებელი, გარყვნილი და უზნეო უნდა ყოფილიყო, გაიფიქრებს მკითხველი. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ასე არ იყო. მართალია, ეპიკური უტილიტარიზმის მიმდევარი იყო, მართალია, იგი ამტკიცებდა, რომ კაცი თავდა პირველად თავისს თავის სარგებლობისა და სიამოვნებისათვის უნდა იღვწოდესო, თავის „მე“ უნდა ედგას ყოველთვის თვალწინო, მაგრამ ის სრულიად არა ჰქადაგებდა გარყვნილებას, განურჩეველს დროს გატარებას, უარს არა ჰყოფდა ზნეობას, სიმართლეს, ჭეშმარიტებას.

აი მოძღვრება ეპიკურისა: უმაღლესი სიკეთე და ბედნიერება სიამოვნებაშია. ყოველი სულდგმული, დაიბადება თუ არა, სიამოვნებას ეძებს, უყვარს იგი, მას ეტანება, როგორც უმაღლესს სიკეთეს; სძულს ტანჯვა-წვალება და ყოველს შემთხვევაში გაურბის როგორც ბოროტებას. ამ ჭეშმარიტებას დამტკიცება არა სჭირია. ეს ყველასთვის დღესავით ცხადია. მაგრამ როდესაც ვამბობთ, რომ სიამოვნებაა საგანი სიცოცხლისა, არა ვგულისხმობთ გამრყვნელ სიამოვნებას, ან სიამოვნებას გაპირუტყვებულ ადამიანისას, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. ჩვენ ვთხოულობთ მხოლოდ, რომ ადამიანი თავისუფალი იყოს ტანჯვისაგან, სხეულის ავადმყოფობისაგან. ქეიფნადიმი, დაუსრულებელი დღესასწაული და სიამოვნება, გამრყვნელ დანამუს ახდილ ქალებთან დროს გატარება, ძვირფასი საჭმელი კი არა ჰხდის ადამიანს ბედნიერად და კმაყოფილად, არამედ ზომიერი სიამოვნება, მოთხოვნილების ზომიერად დაკმაყოფილება, რომელიც გვიჩვენებს: რა უნდა გავაკეთოთ და რას უნდა გაურბოდეთ... ამ გვარად ყოველგვარი სიამოვნება კი არ უნდა შეადგენდეს საგანს ცხოვრებისას და ყოველს უსიამოვნებას კი არ უნდა გაურბოდეთ, რადგანაც ზოგიერთი უსიამოვნება ხშირად აგვაცილებს თავიდგან უფრო მწვავს, უფრო მკაცრს უსიამოვნებას. სიამოვნება ხშირად ტანჯვა-წვალების გამომწვევია. ამისათვის უნდა ვსტკბებოდეთ ისეთის სიამოვნებით, რომელიც არა ჰბადავს წვალებას, პირ-იქით, ტანჯვას გვაშორებს. ბრძენმა უსათუოდ უნდა გამოიანგარიშოს ყოველივე შორეული და წვრილმანი შედეგი სიამოვნებისა, ასწონ-დასწონოს მისი სარგებლობა, უვნებლობა და ისე უნდა დაეწაფოს. მაშასადამე, გონივრული, დამჯდარი მოსაზრება და ანგარიშია საჭირო. გონება უნდა იყოს, და მართლაც არის, ნამდვილი ხუროთ-მოძღვარი ბედნიერის ცხოვრებისა.

რით უნდა აღინიშნოს ამ ხუროთ მოძღვარის მოქმედება? არსებობს სამი რიგი სურვილთა და ნდომათა, ამბობს ეპიკური. პირველი—ბუნებრივი და აუცილებელი მოთხოვნილებანი (naturales et necessariae cupiditases), როგორც მაგალითად სმა-ჭამა; მეორე—ბუნებრივი, მაგრამ არა აუცილებელია, ანუ არც იმდენად აუცილებელი (naturales (noc tamen necessariae), როგორც მაგალითად, საგანგებო საჭმელი და სხვ.; მესამე—არც ბუნებრივის და არც აუცილებელი მოთხოვნილება nes naturales, nec necessariae), როგორც მაგალითად, მისწრაფება პატივისა, ძლიერებისა და სიმდიდრისაკენ. როდესაც ვიკმაყოფილებთ პირველ მოთხოვნილებას, ამით ვითავისუფლებთ თავს ფიზიკურ ტანჯვისაგან, რადგანაც, როგორც ყველამ უწყის, ფიზიკური ჯან-მრთელობა ერთი უპირველესი საშვალებათაგანია ბედნიერებისა, საძირკველია თვით კაცის ცხოვრებისა. თუ ეპიკურის ამ მოსაზრებას მივიღებთ მხედველობაში, ადვილი გასაგები იქნება შემდეგი მისი ვითომდაც უკიდურესი მატერიალისტური მოძღვრება: „კუჭის სიამოვნება თავი და ბოლოა ყოველის ბედნიერებისა, სიკეთისა. კუჭზედ უნდა იყოს მიქცეული ყოველივე ჩვენი ყურადღება, ზრუნვა, რადგანაც იმისგანაა დამოკიდებული მომეტებულ შემთხვევაში გონების კარგად მოქმედება, მოწყობა“.

უბრალოდ, მდაბიურად რომ ვთქვათ, აი რა აზრია ამ სიტყვებში გატარებული: ბედნიერად ყოფნისათვის საჭიროა სიცოცხლე, სიცოცხლისათვის საჭიროა ვჭამოთ, სხეული ვასაზრდოვოთ.

რაც შეეხება ბუნებრივ, მაგრამ არა-აუცილებელ მოთხოვნილებათ, ეპიკურის აზრით, მათი დაკმაყოფილება ბრძენისთვის აუცილებელს საჭიროებას არ შეადგენს. დასასრულ არც ბუნებრივი და არც არა-აუცილებელი მოთხოვნილებანი უნდა დაიხშოს და ჩაიკლას ადამიანმა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ადამიანი თავისუფალი ტანჯვა-წვალებისაგან და ბედნიერების სიტკბოებას იგემებს.

იპ. ვართაგავა

(შემდეგი იქნება).

სასამართლოს აღმასრულებელი ფურცელი, რომლის ძალითაც პეტრე გელაშვილი უნდა აყრილიყო მის მიერ დაჭერილ ადგილიდგან, და სთხოვა აღსრულებაში მოიყვანეთო. კაჭუნაშვილის აყრის ამბავმა და აგრეთვე სხვა გლეხთა მოსალოდნელმა აყრამ გამოიწვია ბორჯომის მამულის გლეხთა შორის აღელვება, რის გამოც ადგილობრივი მთავრობა ფიქრს მიეცა, რომ შესაძლებელია გლეხებმა წინააღმდეგობა გაგვიწიონ ზემოხსენებულ გარდაწყვეტილების აღსრულების დროსაო. ამ მიზეზის გამო სასამართლოს ბოქაულმა კარახანოვმა, როცა იგი პეტრე კაჭუნაშვილის ასაყრელად მიდიოდა, სთხოვა ბორჯომის პოლიციის ბოქაულს ბალაბანოვს, დამეხმარე ამ საქმეშიო.

(შემდეგი იქნება)

## დამავიწყდა

ცბიერი სპარსი, გინდ აშამო ასო, გინდ იმოყვრო, ქართვლის მეყვი!ად მაინც არ ივარგებს.

ლასურიძე

* * *

დედასაც სწორედ ისე ეპყრობიან, როგორც ღმერთს: მწუხარებაში გაახსენებენ ხოლმე და მიივიწყებენ და მხიარულების დროს სრულიად ივიწყებენ.

კარმენ სილვა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც გაზეთები იუწყებიან, ტაგანროგის ოლქში სცხოვრობს ვინმე კონსტანტინე სუხოვი,—ასს თექვსმეტის წლის მოხუცი. ცოლი ამ მოხუცისა ასს ოთხი წლისა ყოფილა. თუმცა ცოლ-ქმარნი ასე ძი მოხუცნი არიან, მაგრამ მუშაობაზედ მაინც ჯერ ხელი არ აუღიათ. კონსტანტინე სუხოვს თვალთაც არ აკლია, მხოლოდ ცოტად დაყრუვდა. ამ მოხუცს კარგად ახსოვს ფრანგების შემოსევა რუსეთში 1812 წელს. ამ ორის წლის წინად იქვე მახლობელს სოფელში უდღესასწაულნიათ ადგილობრივის ეკკლესიის აშენებიდგან ასის წლის შესრულების ხსოვნა. სუხოვი ფეხით წასულა ამ სოფელში. ამასთან გამოუცხადებია, მახსოვს ამ ეკკლესიას როცა აშენებდნენ; მუშაობაში თვით მეც ვიღებდი მონაწილეობასაო.

* * *

ნორვეგიის დედა-ქალაქ ხრისტიანიაში ამას წინად აკურთხეს ახლად აგებული საერო თეატრი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ეს თეატრი უზარმაზარი რამ არის და მოწყობილობით ევროპის თითქმის ყველა თეატრსა სჯობია. ახალი თეატრი მოთავსებულია მეფის სასახლისა და უნივერსიტეტის შუა. შესავალ კარების თავზე მსხვილის ასოებით დაწერილია ნორვეგიის სამის შესანიშნავის დრამატურგის გვარი: გოლბერგისა, იბსენისა და ბიორნსონისა. პირველ წარმოდგენას ამ თეატრში სამივე ეს დრამატურგი დაესწრო. წინა რიგში რამდენიმე საპატიო სკამი იდგა, რომლებიც ამ სამს დრამატურგსა და იმათ ცოლებს ეჭირათ. დარბაზში შესვლის დროს ხალხი აღტაცებითა და ტაშის ცემით მიეგება მათ. როდესაც მეფე ოსკარი შევიდა თეატრში, ლოჟიდგან ზარბაზანი გაისროლეს. წარმოდგენა ორის მოქმედებისაგან შესდგებოდა; შემდეგ ერთმა პროფესორმა წაიკითხა ლექცია ნორვეგიის მე-XIX საუკუნის ლიტერატურის შესახებ. დასასრულ ბიორნსონმა დაიწყო ერთი სახალხო სიმღერა, რომელიც ამ სიტყვებით იწყობა: „დიაღ, ჩვენ გვიყვარს ეს ქვეყანა“, და საზოგადოებამაც ბანი მისცა. ახალის თეატრის წინ ერთადა სდგას იბსენისა და ბიორნსონის ქანდაკებანი, თუმცა ეს ორი შესანიშნავი მწერალი ისე არიან გადაკიდებულნი, რომ ხმას არა სცემენ ერთმანეთს. იბსენის შვილს სიგურდს ბიორნსონის ქალი ჰყავს ცოლად, მაგრამ ქორწილს იბსენი არ დასწრებია. წარმოდგენის დროს თეატრში იბსენსა და ბიორნსონს შუა მათი ცოლები ისხდნენ. არც მეფე ოსკარი და ბიორნსონი არიან კარგ განწყობილებაში, მეფე ემდურის ბიორნსონს იმის გამო, რომ იგი თავისს ნაწერებში ხშირად ცუდად იხსენიებს და ჰკიცხავს ხოლმე როგორც შვეციას, აგრეთვე თვით მეფესაც.

* * *

ხშირად ლოთებს ან ალკოგოლიკებს ლოთობისაგან გადასარჩევად ურჩევენ ხოლმე ჩაის სმას. ამერიკაში კი ეხლა ამტკიცებენ, რომ ჩაი ალკოგოლზედ ნაკლებ არა ვნებს კაცსაო. როგორც იქაური გაზეთები იუწყებიან, რამდენიმე კაცი მომკვდარა თურმე ჩაის გადაჭარბებულად ხმარებისაგან. შეერთებულ შტატებში ეხლა განსაკუთრებული საზოგადოებაც-კი არსდება, რომელსაც ჩაის ხმარების წინააღმდეგ ბრძოლა აქვს აზრად. ამ საზოგადოებას აარსებს ერთი არტისტი ქალი, გვარად კარგერი.

* * *

გერმანული გაზეთები შემდეგს ამბავს მოგვითხრობენ გერმანიის იმპერატორის ვილჰელმის ცხოვრებიდგან. ერთხელ იმპერატორთან მისულა ორი ამერიკელი ქალი. ეს ქალები დიდი მომხრენი ყოფილან ქალთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა და იმპერატორთანაც ლაპარაკი ამის შესახებ ჩამოუგდიათ. ერთს მათგანს, სხვათა შორის, ისიც უთქვამს, რომ გერმანიაში ქალებს არავითარი უფლება არა აქვთო. იმპერატორს, მოუსმენია რა ყველა ეს, უთქვამს: —მაგ საგნის შესახებ მეც იმავე აზრისა ვარ, რა აზრისაც ჩემი ცოლია. ჩემი ცოლი ამბობს, რომ ქალების საქმე მხოლოდ ოთხი ძ.—აო.—როგორ თუ ოთხი ძ.?—უკითხნიათ გაკვირვებულს ქალებს.—ჰო, მართლა, დამავიწყდა! თქვენ ხომ ნემეცური არ იცით!—უთქვამს იმპერატორს.—ეს ოთხი ძ. ჰნიშნავს: Kinder, Küche, Kirche და Kleider-ს (ბავშვები, სამზარეულო, ეკკლესია და მორთვა-მოკაზმვა). ამ სიტყვების შემდეგ ამერიკელი ქალები დარწმუნებულან, რომ მეტი ლაპარაკიდგან არაფერი გამოვაო, და წასულან.

* * *

ისე წელიწადი არ გავა, რომ ეგვიპტეში მიწის ქვეშ არ აღმოაჩინონ რომელიმე ძველის ქალაქის ნანგრევები. აი ეხლაც, როგორც გაზ. „Temps“-ი იუწყება, ცნობილს ეგვიპტოლოგს ლორეს საკკარახში ქვიშის ქვეშ აღმოუჩენია თითქმის მთელი ქალაქი. უკვე უნახავთ მრავალი შენობანი, ძეგლები, ყუთები დაწერილი ქაღალდებითა და აუარებელის ნივთებით სავსე, კუბოები და მრავალი სხვა. ყველაზედ უფრო საყურადღებოა აკლდამა, რომელიც მე-18 დინასტიის ფარაონებს ეკუთვნოდა თურმე. ამ აკლდამის გვერდზეა უზარ-მაზარი დარბაზი, რომლის კედლებიც ნაწერებით არის თურმე აჭრელებული. ნაწერებში მოთხრობილი ყოფილა ისტორია ერთის დავისა, რომელიც ატეხილა ფარაონ ახმეტ პირველის დროს და დასრულებულა რამზეს მეორის დროს, ესე იგი, რამდენისამე საუკუნის შემდეგ. დავა ატეხილა ერთის წყაროს გამო, რომელიც გალავანის მახლობლად ქვიშის ქვეშ აღმოუჩენიათ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 სექტემბერი

**ლონდონი**. როგორც იუწყებიან, ლინდენბურგის კამენდანტი ბერბერტონი და ბურების სხვა აფიცრები კომატი-პორტში მისულან, სადაც ბანაკი უნდა დასცენ კომატის ნაპირეგზედ. იქვე მიელოდებიან რაზმს, რომელიც 250 კაცისაგან შესდგება.

**ვაშინგტონი**. ჩინეთმა წინააღმდეგობა გამოუცხადა თავისს ელჩის პირით შეერთებულის შტატების მთავრობას გენერალის ოტისის ბრძანების გამო, რომლითაც ჩინელებს აღეკრძალათ ფილიპინებში მისვლა. ელჩს გამოუცხადებია, რომ ოტისის მოქმედება ეწინააღმდეგება საერთა შორისო უფლებას და არღვევს არსებულს ხელ-შეკრულებებსაო. მაკ-კინლეი ამ საქმეს დიდმნიშვნელოვანად სთვლის, რადგანაც მას საერთა-შორისო ხასიათი აქვსო.

**პარიჟი**. მინისტრთა საბჭომ პრინციპიალურად დაადგინა აპატიოს დრეიფუსს სასჯელი. პატივებას რამდენისამე დღის შემდეგ გამოაცხადებენ. დრეიფუსმა უკან წაიღო თავისი საკასაციო საჩივარი.

შერერ-კესტნერი გარდაიცვალა.

**პარიჟი**. დეკრეშ გადასცა მინისტრთა საბჭოს მოხსენება პოლკოვნიკის კორნიესი, რომელიც შეჰხვედროდა კლობბის რაზმის გადარჩენილ წევრებს. კორნიესის მოხსენება ამოწმებს უკვე ცნობილს ამბავს. ვულე მარტო ყოფილა, როდესაც უბრძანებია, ესროლეთ კლობბსაო.

**პრეტორია**. სტატს-სეკრეტარს რეიცს გამოუცხადებია ერთის ჟურნალისტისათვის, რომ მთავრობა და საერო კრება თანახმანი არიან მოქმედების შესახებ, რომელსაც ტრანსვაალი დაადგაო. რეიცს უთქვამს, ტყუილია ის ხმები, ვითომ მთავრობა და საერო კრება სხვა და სხვა აზრისანი იყვნენო. „გადაწყვეტილება,—დაუმატნია,—მიღებული ორანჟის რესპუბლიკის თანხმობითაო“.

8 სექტემბერი.

**პარიჟი**. იმ დეკრეტს, რომლითაც დრეიფუსს სასჯელი ეპატიება, ხუთშაბათს მოაწერენ ხელს.

**მადრიდი**. დაიწყო იმ საქმის განხილვა, რომელიც კავიტეს გადაცემას შეეხება. წაკითხულ იქმნა საბრალმდებლო ოქმი. ბრალდებულმა მოითხოვა, რომ ადმირალი მონტიხო სამუდამოდ თანამდებობიდგან იქმნას დათხოვნილი.

**პარიჟი**. ყოველგვარი ზომები იქმნა მიღებული იმისთვის, რომ დღეს გერენი გამოეყვანათ თავისს საფარიდგან. შაბროლის ქუჩას შემოარტყეს რესპუბლიკანელთა გვარდიის ჯარის-კაცნი, პოლიციელნი და ცეცხლის მქრობელ რაზმის ჯარის კაცნი. ამბობენ, რომ გერენი მზად არის უწინააღმდეგოდ დაემორჩილოს მთავრობის ბრძანებასაო.

**პარიჟი**. 3 საათსა და 30 წუთზედ მილუა და ლაზი გერენის სახლში შევიდნენ. მათ ურჩიეს გერენს დამორჩილებოდა. შემდეგ ჰკის კარი გააღეს და გერენი თავისს ამხანაგებითურთ გამოვიდა. იქით-აქედგან გერენს მილვუა და ლაზი ედგნენ. კომფერი მივიდა გერენთან და დააპატიმრა. გერენს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. შემდეგ კომფერმა ეტლში ჩაისვა და საპყრობილეში წაიყვანა. გერენის ამხანაგები არ დააპატიმრეს; ყველანი თავ-თავიანთ სახლში წავიდნენ.

**პარიჟი**. პრეზიდენტმა ლუბეიმ დაათვალიერა გამოფენის შენობათა მუშაობა და წინადადება მისცა მუშაობის ხელმძღვანელთ ერთგულობაში შეეჯიბრონ ერთმანეთს, რათა 1900 წელს საფრანგეთს შეძლება ჰქონდეს დაუმტკიცოს თავისს სტუმრებს, რომ ის ისევ ძლიერი და შრომის მოყვარე ერია, როგორც წინათ იყო, და დროებითი უთანხმოებამ ვერ შეაჩერა ის შეესრულებინა თავისი მოვალეობა პროგრესისა და მშვიდობიანობის მხრით.

უმაღლეს სასამართლოს კომისიამ აირჩია თავისს პრეზიდენტად ბერანჟე, ხოლო ასესორებათ შოვე, კორდელე და კაზო. პრეზიდენტი და ასესორები შეუდგნენ დოსიეს შესწავლას.

ვულეს წერილით განუცხადებია კლობბისათვის, რომ ჩემი რაზმის უფროსობას არავის დავუთმობო და შენ ისე დაგიხვდები, როგორც მტერსო; ჩემი კაცების მიერ მოწონებულია ასეთი გარდაწყვეტილებაო. უმჯობესად მიმაჩნია ყველაფერი გავსწირო, ვინემ ჩემი ადგილი დავუთმო ისეთს დაუნდობელს კაცს, როგორიც კლობბი არისო.

**პრეტორია**. ორანჟის რესპუბლიკის რამდენიმე უფროსი აფიცერი მოვიდა აქ და თათბირი ჰქონდათ მთავარ სარდალ გენერალ ჟუბერთან.

**პარიჟი**. დრეიფუსი გამოვიდა სატუსაღოდგან დილის 2½ საათზე, ჩაჯდა კარეტაში ერთს თავისს ნათესავთან ერთად და წავიდა გარშემო გზით რკინის გზის სადგურში. იმის წასვლის დროს არავინ არ დასწრებია. დრეიფუსი თავისი თანამოგზაურით იმ მატარებელში ჩასხდნენ, რომელიც ნანტში მიდის.

9 სექტემბერი

**პარიჟი**. „საერო სააგენტომ“ დაჰბეჭდა შემდეგი განცხადება დრეიფუსისა: „რესპუბლიკის მთავრობამ თავისუფლება დამიბრუნა. ეს თავისუფლება ჩემთვის არაფერია უპატიოდ. ამ დღიდგან ვეცდები შევასწორებინო როგორმე ის საშინელი სასამართლოს შეცდომა, რომლის მსხვერპლი გავხდარვარ. მე მსურს მთელმა საფრანგეთმა შეიტყოს საბოლოო გარდაწყვეტილებიდგან, რომ მე უდანაშაულო ვარ. ჩემი გული მხოლოდ მაშინ დამშვიდდება, როდესაც არ დარჩება არც ერთი ფრანგი და ყველა დარწმუნდება, რომ მე არა ვარ ჩამდენი იმ საზიზღარის საქციელისა, რომელიც სხვამ მოიმოქმედა და მე მომაწერეს.

**ნანტი**. დრეიფუსი დილის 8 საათზედ მოვიდა. თან მოჰყვნენ მათე დრეიფუსი, პოლიციის დირექტორი ვიგიე და ერთიც პოლიციელი. არავინ არ იცოდა აღრევე ეს ამბავი. ესენი ბუფეტში შევიდნენ და შემდეგ ჩასხდნენ მატარებელში, რომელიც 8 საათსა 58 წუთს ბორდოში უნდა მისულიყო. ისინი მატარებელში პირველ კლასის საზოგადო განყოფილებაში შევიდნენ, რომელიც სხვა მოგზაურებით იყო სავსე,—რათა არავის ყურადღება არ მიექციათ. ვიგიე და პოლიციის აგენტი პირველსავე სადგურზედ წავიდნენ და ძმანი დრეიფუსნი მარტონი დასტოვეს. აქ იმ აზრისანი არიან, რომ ძმები რომელსამე შუა სადგურზედ ჩამოვლენ მატარებლიდგან, რომ არავინ იცოდეს ის ადგილი, სადაც იქ ნებიანო.

**ბელგრადი**. კნიჟევიჩის საქმედღეს დილის სხდომაზედ ბრალმდებელი სცდილობდა უარ-ეყო დამცველთა საბუთები და სთხოვა მოსამართლეებს, განაჩენი დაადგინეთო სამართლიანი, როგორსაც თქვენი სინიდისი გეტყვითო. შემდეგ თვით კნიაჟევიჩი ჩამოდგა და სთქვა, რომ რადგან ჩემი სიცოცხლე განსაცდელშია, არ მინდა სული დავიმძიმო, უნდა ავღიარო, რომ სულ ტყუილად ჩავაბი საქმეში ოთხი კაცი, რომელთ შესახებაც განვაცხადე, რომ ისინი აქეზებდნენ-მეთქი სხვებს მილანი მოეკლათ. პაშიჩმა მადლობა შესწირა განგებას, რომ მილანს არა დაუშავდა-რა და იმასთან ერთად სერბიაც გადარჩა. მან აღიარა, რომ რადიკალთა დასმა ბევრი შეცდომა ჩაიდანა, მოსაწონი არ არის ის წიგნაკები, რომელიც სამეფო გვარეულობის წინააღმდეგ არის გამოცემულიო და სთხოვა მოსამართლეებს, გამამართლეთ, მე მთელს ჩემს სიცოცხლეს შევსწირავ სამეფო გვარეულობის მტრებთან ბრძოლაშიო.

პეტერბურგის ბირჟა, 8 სექტემბერი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 210¼ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 93 ½ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | 100 „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 99 „ | — „ | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 95 „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | — „ | 99 | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | — „ | 96 | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 299½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 264¾ |

## განცხადებანი

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ისყიდება ქუთაისში—წერეთლის წიგნის მაღაზიაში; ყვირილაში—ილია მაღლაკელიძის მაღაზიაში; ბათუმში—მაქსიმე კიკვაძის მაღაზიაში (სასტუმრო „საფრანგეთის“ პირდაპირ); სამტრედიაში—ქალთა დანელიების სამკერვალოში და სოფ. კუხში—თითონ ამხანაგობის ქსოვილების სახელოსნოში.

(50—6.—26) ნ. წერეთელი

დაიბეჭდა და იყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

ა. ს. პუშკინისა

ფასი 50 კაპ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 9 го Сентября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.